ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევის მთავარი მიზანი იყო უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა. გამოკითხვის ფარგლებში შესწავლილ იქნა, თუ ვის პასუხისმგებლობას ხედავს მოსახლეობა უკრაინაში ომის დაწყებაზე, რას მოითხოვს მოსახლეობა საქართველოს მთავრობისგან, როგორია ომზე საქართველოს მთავრობის პასუხის შიდაპოლიტიკური შედეგი.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არამარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე.

შერჩევის დიზაინი: მარტივი შემთხვევითი შერჩევა შემთხვევითი ნომრის აკრეფვის მეთოდით.

შერჩევის ზომა: 1,092 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 24%

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით სატელეფონო გამოკითხვა (CATI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული.

საველე სამუშაოების თარიღები: მარტი 7, 2022 - მარტი 10, 2022.

შედეგები შეწონილია.